ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1498808

ნომერი: AR1251222

თარიღი : 17.09.2014

გაცემის თარიღი : 19.09.2014

გაცნობის თარიღი : 25.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N 005/055) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჯობავა პ/ნ 62006030542
- გალი სოფ. 1-გალი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2014 წლის 17 სექტემბრის AR1251222 განცხადება, რომლითაც ითხოთ #01.12.01.005.097 მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, სავაჭრო, საოფისე) განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მომზადებულია #1249283 (05.05.2014) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და სავაჭრო ცენტრი) განსათავსებლად. იმისათვის რომ მომზადდეს ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, უნდა დააზუსთოთ მოთხოვნის ტექსტი და მოითხოვოთ #1249283 (05.05.2014) გადაწყვეტილების გაუქმება. ამასთან გაცნობებთ, რომ აღნიშნულის განსახორციელებლად უნდა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ან ზემოაღნიშნული აქტის მესაკუთრეების კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი მინდობილობა ან თანხმობა, ასევე შესაძლებელია დააფიქსიროთ აღნიშნული პიროვნებების მონაცემები განაცხადის თანაგანცხადებლის ველში;

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 17 სექტემბერს საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 3 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 9 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია და დაზუსტებული მოთხოვნა, საკითხი დარჩეს განუხილველი. ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.